

გაზეთის ღირსი:			
თვე	მან. კ.	თვე	მან. კ.
12	10	6	6
11	9 50	5	5 50
10	8 75	4	4 75
9	8	3	3 50
8	7 25	2	2 75
7	6 50	1	1 50

ცალკე ნომერი — ერთი შურა.

# ივერი

გაზეთის დასაყვებად და კერძო განცხადებ-  
ათა დასაბეჭდად უნდა მიჰმართონ: თვითონ  
რედაქციას, ანალო-ბუფეთის ქუჩაზე, სახ-  
ლი № 9, შავრდოვის საგაზეთოს, ცენტრა-  
ლურს ზე გრიჭოვის წიგნების მაღაზიებს.  
ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრი-  
ქონი რვა კაპ.

1877—1886 წელიწადი

საზოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

1877—1886 წელიწადი

## გაზეთი „ივერია“ 1-ლის უსლისიდან წლის დამ- ლევამდეღირს 6 მან.

თბილისი, 27 ივნისი

კვლავ მოვირგებთ პოლიტიკური  
ცა დრუბლებითა და ლამის კვლავ  
აბუჯდეს ამ ცაზედ ქუჩილი და ჭე-  
ქ-გრგვინვა. ჯერ ძნელი სათქმე-  
ლია, ამ ქუჩილსა და ჭექა-გრგვინ-  
ვას წვიმა და სეტყვაც მოჰყვება  
თუ არა, რადგანაც წლიდანვედ  
მოსავლიან წელიწადს დიდი მო-  
ტიისას ბევრჯერ ვნახეთ ასევე მო-  
შავ-ბედებული ცა და ქუჩილსაც  
ბევრჯერ გაგვიჭექა ურები, მაგ-  
რამ, როგორც ჰქუჩდა, ისეთი წვი-  
მა არ იყო. ერთად-ერთი შემთხვე-  
ვა, როცა ქუჩილს წვიმაც მოჰყვა,  
სერბისა და ბოლგარის ომი  
იყო, მაგრამ ამანაც მცირეს ხანს  
გასტანა. მრისხანე ზევსი, ავსტ-  
რიის ელჩის კვენგიულის სხ-  
ნით, მადე ჩაერთა საქმეში და შე-  
უნა განრისხებულთა სტიქიონთ  
სრბოლა. დღევანდელი ნიშნები  
დრუბლების არევ-დანებისა იმავე  
ჩამომავლობისაა, რომელმაც სერ-  
ბისა და ბოლგარის ომი გამო-  
იწვია და იმავე სათავიდან მომდი-  
ნარობენ. საქმე ის არის, რომ  
ზოგიერთს დიდს სახელმწიფოს  
მეტად და მეტად არ მოსწონს,  
რომ ბოლგარია და რუმელია გა-  
ერთიანდა, თუ ადმინისტრატე-  
ბი

რად, თუ სასამართლოს მხრით,  
თუ ეკონომიურად და თუ ჯარე-  
ბისა და ლაშქრის გაერთიანება.  
დიდმა გაერთიანებულმა ბოლგა-  
რიამ — შეხედეთ კადნიერებას — დი-  
დი საერო კრებას დანიშნა სოჭისაში  
ერის წარმომადგენელთა და მთა-  
ვარმა ალექსანდრემ ამ კრების წი-  
ნაშე წარმოასთქვა სეფე-სიტყვა,  
სასე ადტაცებულის სიხარულითა  
ბოლგარისა და რუმელის გაერ-  
თიანების გამო. ბოლგარის მთა-  
ვარმა სხვათა შორის სთქვა თა-  
ვის სეფე-სიტყვაში: „ერის წარმო-  
მადგენელნი! დიდს საისტორიო  
დგაწლის შემდეგ, რომელიც იჭირ-  
ნახულა სამშობლომ, მე დიდ ბე-  
დნიერებად ვსთვლი, რომ საღამს  
ვაძლევ ჩემს სამეფო ქალაქში  
პირველს საერო კრებას წარმო-  
მადგენლებისას ბალკანების იმიერ  
და ამიერ ბოლგარებისას; სიტყვით  
არ ძალ-მისს გამოვსთქვა განუსა-  
ზღვრელი მადლობა ბოლგარის  
ერის მიმართ.“

ამ სახით ალექსანდრე მთავარმა  
სრულდებოდა არ მოისვენია, რომ  
რუმელია მისი სამთავრო არ არის,  
არამედ საგენერალ-გუბერნატო-  
რია, ოსმალეთზედ დამოკიდებუ-  
ლი და მისდამი დროებით მინდო-  
ბილი. საერო კრებასაც კვერი  
დაჰკრა, რომ ბოლგარია და რუ-  
მელია ერთი სამთავროა. აი ამის-  
თანა ქვეყნ მიღებულ იქნა ზოგი-  
ერთა სახელმწიფოთაგან, რო-  
გორც დარდვევა სტამბოლის კონ-  
ჭერენციის დადგენილობისა და ეს  
ზოგიერთმა სახელმწიფომ იწყინა,  
თუ იტკინა.

ყოველივე ეს საგამო იყო, რომ  
დიდი მომართა ზოგიერთგან კვლავ  
დაფსურებულყო და გაზეთებს  
აყალ-მაყალი აუტყხათ. ასე გასინ-  
ჯეთ, რომ ზოგმა ძრეულ ფრთხილ-  
მა თავ-დაჭერილობა და ენის კენ-  
ტით მოლაპარაკე გაზეთმაც კი ვე-  
დარ შეიმავრა თავი და სთქვა,  
რომ ესეთი საქციელი ბოლგარი-  
ის მთავრისა მეტის-მეტი კადნიერე-  
ბაა, ესეთი საქციელი უარ-ყოფა  
კონჭერენციის დადგენილობისა  
და უპატივისცემლობა, მასხარად  
ავდებთა ვეროპის გარდაწყვეტი-  
ლებისა. გვიკვირს, რომ ბრწყინ-  
ვალე პორტა, როგორც უზენაე-  
სი მფარველი ბოლგარის მთა-  
რისა, ნებას აძლევს თავის დამო-  
კიდებულს, ასეთის კადნიერებით  
იქვეოდესო. გაზეთმა ადარ აცი-  
ვსხელა და პირ-და-პირ ოსმალთა  
გამტყუნა ამ საქმეში. თუ თვით  
პორტას თანხმობა არ იყო ამ-  
ზე, თუ თვით პორტა საიდუმ-  
ლოდ არ აქეზებდეს მთავარს, ამას  
ვერ გაბედავდნენო. ეს საქმე განსა-  
დელით სასე საქმეა და არსებობს,  
თუ არ არსებობს რამე საიდუმ-  
ლო მორიგება ბოლგარისა და ოს-  
მალთა შორის, მინც კეთილად არ  
გათავდება ეს საქმე. შეუძლებელია  
რომ ამ გვარს მდგომარეობაში  
აცილებულ იქნას დიდი და მძიმე  
განსაცდელი.

გაზეთებმა მოგვიტანეს ამბავი,  
რომ მარტო პორტას ვერ დაჰ-  
ბრალდება, რომ საქმე ასე დატ-  
რიალდა და წყალი კვლავ შეიმ-  
ღვრა ბალკანის განსაცდელით  
სასე ნიდაგ ზეო. მართალია, პორ-

ტა წინადავე ელოდა მართლაც  
მოსალოდნელს განსაცდელს და  
ემზადებოდა, იარაღს ისწავდა და  
თავით ფეხმდე იჭურვებოდა, მაგ-  
რამ მინც აქ სხვის ხელიც ურე-  
ვიაა და ევ სხვა ინგლისიაო. ინგ-  
ლისში დიდი გავლენა აქვს ალექ-  
სანდრე მთავრის ძმას, რომელსაც  
ცოლად ინგლისის დედოფლის  
ქალი ჰყავს და ამისათვის ინგლისი  
ქიმაგია ბოლგარის მთავრისაო.  
მაგრამ ჩვენ უნდა ვსთქვათ,  
რომ არა მარტო რუსეთმა იწ-  
უნა რუმელის ორგანებურის  
წესდების დარდვევა ალექსანდრე  
მთავრის მიერ, არამედ სხვა დიდ-  
მა სახელმწიფოებმაც და ამის შესა-  
ბამი ნიშნები გაუგზავნეს სტამბოლ-  
სა და სოფიაში და ურჩევნ ხონ-  
ქარსაც და მთავარსაც, წმინდად შე-  
სრულეთ სტამბოლის კონჭერენ-  
ციის დადგენილობა. ავსტრიის  
მთავრობას ნამდვილად გაუგზავ-  
ნა ამ გვარი ნიშნები, თუმცა-კი არა-  
ვინ იცის, რა დაფარული აზრი  
აქვს ამ საქმეში ავსტრო-ვენგრისს:  
მართლა გულითა ჰსურს შეაყე-  
ნოს ბოლგარია და პორტა იმ  
გზაზე, რომელზედაც სიარული  
მხოლოდ სისარულით ავსებს ავს-  
ტრიის გულს, თუ მხოლოდ  
თვალთათვის სწადის ამას, ვითომ  
და აი მეც შემტყვი გული საერ-  
თო მშვიდობიანობისათვის და არა  
მსურს ისეთი რამდებოდეს ბოლ-  
გარიაში ან ოსმალეთში, რაც ჩემს  
მეზობელს სახელმწიფოს არ მოს-  
წონს და დედადა სწყინსო. რა-  
იცა შეეხება იმას, ვითომ სხვა სა-  
ხელმწიფოებსაც გაუგზავნოს ამ

გვარი ნიშნები, ეს ძალიან საეჭვოა,  
მხოლოდ ამას კი ვიტყვი, რომ  
ერთი მათგანი შეიძლება საფრან-  
გეთი იყოს.

ასეა თუ ისე, ერთობით მოქმე-  
დობენ დიდნი სახელმწიფონი თუ  
არა, ოსმალეთის მთავრობა მინც  
შეფიქრებულა და გაუგზავნა  
ნიშნები დიდთა სახელმწიფოთათვის.  
ჩვენ მოვსთხოვეთ ალექსანდრე  
მთავარს, რომ სრულის პატივის  
ცემით ეპურობოდეს კონჭერენ-  
ციის დადგენილობათა, თორემ  
ბოლგარია დიდ საფრთხეში ჩა-  
ვარდება, სწერს თურმე პორტა  
ამ ნიშნებში.

წერთ-კი სწერს, მაგრამ დაჯე-  
რებით-კი ძნელი დასაჯერებელია  
ესა. ფიცი მწამს და ბოლო მაკვირ-  
ვებსო. არა, თუ კი ოსმალეთს ნდო-  
მობა, რომ კონჭერენციის დადგე-  
ნილობანი არ დაერდვას ბოლგა-  
რისა, ამდენი ხანი ტყუილად რად  
დაუწყებდა ცქერას, რად მისცემ-  
და ნებას ბოლგარისა, რომ საე-  
რო კრება მოეწვია, რად მისცემ-  
და ნებას, რომ ამ ექვსს თთვეში ისე  
გაცხარებით მოქმედობდნენ ბოლ-  
გარიაში, რომ ორივე მისი ნაწი-  
ლი გაერთიანებულყო მმართვეისა  
და გამგეობის მხრით. მივსწერე და  
მოვითხოვე, რომ ალექსანდრე მთა-  
ვარმა პატივი სცეს და დაიცვას  
მტკიცედ ყოველივე დადგენილო-  
ბა სტამბოლის კონჭერენციისაო.  
კაი დროს-დაა ახლა. ეს თხოვნა  
რომ შესრულოს ბოლგარიაში,  
იგი უნდა ხელ-ახლად გაორდეს  
და გაიყოს მისი ადმინისტრაცია;  
სამხედრო წყობილებაც, სამართა-

## ფელეტონი

უახლოთა შორის

ამერიკის პრეზიდენტი კლევე-  
ლენდი და მისი ქორწინება. — მეგა-  
ზეთების თავ-მაზეობა. — მონეტე-  
ბული მეგაზეთები. — ჩინეთის ბოლ-  
დინანი და ჩინეთური „ცერემონი-  
ები“. — ჩინეთის აკადემიკოსი და მისი  
აზრი. — Ex Chinese pax!

დავანებოთ დღეს ევროპას თავი.  
თვალი მოვაშორეთ მის დიდი ბო-  
როტას, ვარაშა და ვაგლახსა. დავი-  
ვიწყოთ დროებით ვლადსტონის კა-  
ნონ-პროექტი, ინგლისის დასების სა-  
სტიკი ბრძოლა, „აღმოსავლეთის სა-  
ქმე“, ბალკანის ნახევარ-კუნძულის  
არეულ-დარეულობა, საფრანგეთის და  
გერმანიის შორის განხეთქილება და  
ბევრი სხვა ამ გვარი საქმე, რომელიც  
დღეს ევროპას ადღევებს და მოსვენ-  
ებას არ აძლევს. დღეს, ვიმეორებთ,  
დავიწყებთ მისცეთ ყველა ეს თავ-  
სატყბი ამბები და თვალი გადავაფ-  
ლოთ ატლანტის ოკეანის იქითა მხა-  
რეს, იმ ბედნიერ ქვეყანას, რომელ-  
საც ამერიკას უწოდებენ.

ამერიკელებიც დღეს მოუსვენრად  
არიან. რას აუშფოთებია ღინჯი ამე-  
რიკელები? პოლიტიკას, ევროპის  
საქმეებს, დასების ბრგოლს? — არა!  
მაშ რა მოხდა? სრულიად უბრალო  
და ჩვეულებრივი ამბავი.

\* \*

მისის უიანსენელ რიხებში ევ-  
როპილამ ამერიკაში ერთი დიდი გე-  
მი მიიღო. გემი ამერიკის ნაპირებს  
კიდევ მიუახლოვდა. ამ დროს, ენა-  
ხით, საიდგანლაც გამოჩნდა რამდენ-  
იმე პაწია გემი და დიდს გემს თან  
აჰყვა. პაწია გემებზე რამდენიმე ღურ-  
ბინდით, საწერ-კალმით და ქალა-  
ლით შეიარაღებული კაცი იყო. დი-  
დის გემის კაპიტანს არაფრად ევაშნი-  
კა პაწია გემების დაუბატყებლად  
მოგებება და პატივისცემა. ეცადა  
კაპიტანი გზა აეჭკია, კვლია აერია,  
მაგრამ ვერა ვახდა რა: პაწია გემები  
ვერ მოატყუა. მივიდა თუ არა დიდი  
გემი ნავთ-სადგურში, პაწიებაც თან  
მიჰყვნენ.

ამავე დროს ნიუ-იორკის სასახლე-  
ში ამერიკის პრეზიდენტი თავის კაბი-  
ნეტში იჯდა, გულ-დაწყურებით სა-  
ქმეებს ჰსინჯავდა და ქალაქებს ხელს

აწერდა. პრეზიდენტის ერთგული სე-  
კრეტარი ლამონტი, ამავე სასახლე-  
ში, ესრედ-წოდებულ თეთრს სახლ-  
ში, დიდს დარბაზს ალაგებდა, დიდ-  
ფოთლოვან ხეებით და საუცხოვო  
ყვავილებით ამკობდა და ჰრთავდა.  
რისთვის ამზადებდნენ ასე სასახლეს?  
ამერიკის პრეზიდენტი, კლიველენდი,  
ჯვარის-წერას აპირებდა. ასე ისმოდა  
ხმები, თუმცა ნამდვილიდ არავინ  
იცოდა. არ იცოდნენ იმიტომ, რომ  
თვით კლიველენდი არაფერს ამბობ-  
და და ძალიანაც სცილილობდა, რომ  
ეს საქმე საიდუმლოთა ყოფილიყო.  
და საფუძველიცა ჰქონდა ასე მოქ-  
ცულები: კლიველენდს არა ჰსურდა  
ეს ამბავი გაზეთების სალაპარაკოდ  
გამხდარიყო.

ახირებული ხალხია ამერიკის მეგა-  
ზეთები. ღმერთმა ჩემი მტერი ნუ  
ჩაადგოს ამათ პირში, მოსვენებას  
ალარ მისცემენ. მორიდება და  
ზრდილობა ალარ იციან, ოღონდ კი  
ახალი ამბავი თავის მკითხველებს  
სხვაზედ უწინ შეატყობინონ. დაური-  
დებლად შეუფარდებიან კაცს, სახლში  
და ყველაფერს უბად ააღებინებენ ქვე-  
ყანას, არავის და არაფერს არ დაინ-  
ლობენ. ეს, რასაკვირველია, ყველას

არ მოეწონება. არ მოსწონს თურმე  
ამერიკელის მეგაზეთების ახირებული  
და თავ-მომამბეზრებელი ცნობის მო-  
ყვარება კლიველენდსაც. აი ამიტომ  
ჰმალავდა ყველასაგან თავის ჯვარის-  
წერის ამბავს.

მაგრამ ვერ მოახერხა კლიველენდ-  
მა ამის სრულიად დამალვა. მარ-  
თალს ამბობდა პრეზიდენტის სეკრე-  
ტარი ლამონტი: „თუ ჩვენ თითონ  
არ შევატყობინებთ გაზეთებს ქორწი-  
ლის ამბავს დაწერილებით, გაზეთები  
საკუთარ თავიდან გამოიღებენ და თი-  
თონ შეთხზვენო“. ლამონტი არა  
სტყუოდა.

ერთს დღეს, სწორედ იმის მეორე  
დღეს, როდესაც, როგორც ზემოდ  
აწვერეთ, ევროპილამ მოსული გემი  
ნიუ-იორკის ნავთ სადგურში გაჩერდა,  
კლიველენდმა გაზეთებში შემდეგი  
ამბავი წაიკითხა: „გუშინ ევროპილამ  
დაბრუნდა გემით ქალი ჭრანკი ფოლ-  
სომი, პრეზიდენტის საცოლო და  
თან დიდი მზითველი მოიტანა“.

წაიკითხა კლიველენდმა ეს ამბავი  
და ძალიან არ იამა, მაგრამ რას იზამ-  
და, სხვა ღონე არ იყო, ქორწილი  
უნდა აეჩქარებინათ. მართლაც და  
ხუთს დღეში ყველაფერი მოახერხეს.

თვითონ კლიველენდს ხელიც არ  
გაუძრავს. ეს არხინად იჯდა და თა-  
ვის საქმეებს აკეთებდა. სუყველაფე-  
რი პრეზიდენტის ერთგულ მეგობარს  
ლამონტსა ჰქონდა მინდობილი. ასე  
გასინჯეთ, რომ ბრილიანტებით შემ-  
კობილი ოქროს ძეწკიც კი, რომე-  
ლიც კლიველენდმა თავის საცოლოს  
საჩუქრად მიუტანა, ლამონტმა იყი-  
და.

\* \*

უცნაურები არიან ეს ამერიკელები,  
უბრალო კაცილამ დაწყობილი პრე-  
ზიდენტამდე! ჰკითხულობ ამ ქორწი-  
ლის ამბავსა და არა გვჯერა: ამერი-  
კის პრეზიდენტი, 60 მილიონი ხალ-  
ხის მმართველი იწერს ჯვარსა, თუ  
უბრალო კაცი, — არც პატივი, არც  
ლხინი, არც ნაღიმობა, არც ამბავი? —  
ქორწილის წინა დღეს ჯვარი-წერის  
ნების ქალაქი აიღეს და ამ ქალაქ-  
ლში ეწერა: „ქალაქ ზეფალოს მოქა-  
ლაქე, გროვერ კლიველენდი ჯვარს  
იწერს ქალს ჭრანკი ფოლსომზე იმა-  
ვე ქალაქილამა“. მეტი არაფერი ყო-  
ფილა!

ამავე დღეს კლიველენდთან კა-  
რის მღვდელი, პასტორი სენდერლენ-  
დი მოვიდა და ჰკითხა:

ლიცა და სჯულის-დებაცა. მან უნდა მაშინ სრულიად დაარ- დვიოს წესი ჯარისა და ლაშკრი- სი, უნდა გაბათილდებოდეს ათასი ბრძანება, რომლის ძალითაც ვინ იყოს რამდენი კაცი რამდენ ალა- გას დაინიშნა და რა თანამდებობა ჩაჰბარდა იმის გამო, რომ არავინ არა სთქვა - რა, ადამიანთაგან რუმეფი და ბოლგარის ერთი გა- ნუყოფილი სამთავრო არ არისო. მაშინ საჭირო იქნებოდა აგრეთვე ცაფც-ცაფცე სამინისტროები და- წესებულები ადამიანთაგან რუმე- ლისა და ბოლგარისათვის, საჭი- რო იქნებოდა დაუყოვნებლივ დაე- თხოვნათ საერო კრება, როგორც ნიშანი ბოლგარის გაერთიანისა. ერთის სიტყვით, სუყვეფი- რი უნდა გაბათილდებულყოფი- უნ და უნდა ერისთვის გამოე- ცხადებინათ, რომ უოვეფი შენი ცდა, უოვეფი გაჭირება და მსხვერ- ჳი, რომეფიც არ დაზოგე, ამო- გამოდგა, და მხოლოდ ის შეგიძ- ნა, რომ ბოლგარის მთავარი ადამიანთაგან რუმეფიის გენერალ გუბერნატორად დაინიშნაო ცხა- დია რომ არც ადექსანდრე მთა- ვარი, არც ბოლგარის ერთი ამა- ზე არ დათანხმდება.

აქედამ ცხადია, რომ პორტას ნოტა თვალებს ვერავის აუნვეცს, უოვეფი მისი ღაპარაკი და დაპი- რება ცარიელი სიტყვები იქნება, რათა ამ სიტყვებით დაამშვიდონ ისინი, ვინც გუფი-ნატყენნი არიან ბაღვანის ნახევარ-კუნძულზე მო- მხდარის ამბებითა. ამბობენ, რომ შეთაფ-იარაფება ოსმალეთისა ვი- თამ და იმიტომ არისო, რომ ბოლგარისა ძალას დაგუტან, შეს- რუფოს მოთხოვნილება რუსეთისა და სხვა დიდთა სახელმწიფო- თათა. არა გვგანია ამით იმართ- დოს თავი ოსმალთა, რომ ასე უწყალოდ იჭურვება. საქმე იმაშია რომ ოსმალეთისა ჰსურს მზად იყოს და თავისი თავი დაიკვას, თუ გაჭირება რამ კარს მიადგაო. ეჭვი არ არის აგრეთვე, რომ ოს-

— როგორ გნებათ ჯვარის-წერა, საეკლესიო წესების აღსრულება? — როგორც გინდათ, ოლონდ ჩქა- რა და მოკლედ იყოსო, მიუფო კლი- ველებმა. — ნიშნობის ბეჭედი საჭირო იქ- ნება, თუ არაო, —ჰკითხა კიდევ პას- ტორმა.

— ეგ როგორც ქალი მოსიურებე- სო, უპასუხა კლიველებმა და თან დაუმტა: მაინც ეგ ჩემი საქმე არ არის, ჩემს სეკრეტარს, ლამონტსა ჰკითხეთო.

ლამონტმა მაშინათვე დგაპით ე- ტყობინა ქალსა. ქალმა ბეჭედით ჯვარის წერა მოისურვა. ლამონტმა იმავე დღეს ორი ბეჭედი იყიდა, ერ- თი საქმროსთვის, მეორე საცოლოს- თვის.

მაღეთს საიდუმლო მორიგება აქვს შეკრული ბოლგარისათანაო, ამბობენ ვაზეთები. თუ ოსმალეთ- მა ნება მისცა და ხმა არ ამოიღო, ბოლგარია ადამიანთაგან რუმე- ლის შემოიერთა, შეინორცა და შეითვისტომა, „ს იმიტომ-რომ თა- ვადაც დიდს შემწეობას ელის როცა ბოლგარისგან გაჭირების დღის- თვისა ამ მოწყალების ნაცვლე- დაო. ეს შემწეობა ის იქმნება, რომ გაჭირებაში ბოლგარის ჯა- რი ოსმალეთის ჯარს შეუერთდება და იმასთან ერთად იმოქმედებსო. Бюджет суря-ო, რუსებმა რომ იყიან, სწორედ ისეთი დროა ენ- ლა. შეიძლება დიდ-ხანს ვასტანოს მუედროებამ, შეიძლება თათმა გვიანობამდე არ იჭექოს ბაღვანე- ზზე.

### ახალი ამბავი

\* \* \* მალალ ყოვლად უსამღეღლოესი არხიგბისკოპოსი პაულე, საქართველოს ეგზარხოსი 25 ივნისს, საღამოს 3 საათზედ ჩამოვიდა ტფილისში თავის სახაფხულო სადგომიდან, წმ. ანტონის მონასტრიდან და გუშინ, დი- ლის 6 საათზე ტფილისიდან წავიდა კავკასიის თბილ წყლებზედ, სადაც მრავალნი მალალ-ხარისხიანი სა- ხელმწიფო კაცი იმყოფებიან. სხვათა შორის, სამხედრო მინისტრი ვანო- სკი, ობერ-პროკურორი უშინდავისი სინოდისა პაბდლონსკევი და კავკა- სიის მთავარ-მართებელი დონდუოე- კორასკოვი.

\* \* \* აი რა შემადრწინებელს ამბავს მოგვითხრობს ვაზ. „ახ. მიმობ.“, რომელიც ერთს ტფილისის სამკურ- ნალოში მომხდარა. ვილაცა 16 წლის ყმაწვილი მშობლებს სამკურნალოში გაუგზავნიათ, რომელსაც სააპერაკოო სატყეარო ჰქონია ავად-მოფი სა- წოლზედ დაუწვენიათ და როდესაც ექიმი მიხსლოვებია იარალით ხელში, ყმაწვილს ტირილა და წივილი დაუ- წყვია. პატყეცემულს ექიმს არ ესია-

ლი კუნწულა და ნიშნობის ბეჭედი აი მთელი სამკაული, რომელიც პა- ტარძალსა ჰქონდა. ჯვარის-წერაზე დამსწრენიც სუყველანი უბრალოდ იყენენ ჩაცმულნი, არც ერთს ქალს ძვირფასი თელები და სხვა სამკაულე- ბი არა ჰქონია თურმე.

საოცრად იყო შემოკლებული თურ- მე ქორწინების საეკლესიო წესები, ჯვარის წერა სულ ათხ მინუტში გა- თავდა. — პასტორმა მოკლე სიტყვა სთქვა, ქორწინების დიდი მნიშენ- ლობა აუხსნა მეფე-პატარძალს და მერე ჰკითხა: „ცოლ-ქმრობის სურვი- ლი გაქეთ, თუ არაო?“ მეფე-პატარ- ძალმა თანხმობა გამოაცხადეს. პას- ტორმა ბეჭედი გაუყეთა და უთხრა: „მომილოცავს თქვენი ცოლ-ქმრო- ბაო. ამით სუყველაფერი გათავდა.

\* \* \* ამის შემდეგ კლიველებმა სტუმ- რები ვახშად მიიპატიჟა. სულ 25 კაცი იყო მიპატიჟებული, ახლო ნაც- ნობები და ნათესაები. ზოგნი ცო- ლებითაც იყენენ. ვერაჯერი პრეზი- დენტის საკადრისი ვახში იყო თურ- მე. ყველაზე შესანიშნავი ვახშიმე ზაქა-პური (პიროგი) იყო, რომელსაც 125 გირვანქა წონა ჰქონდა. ძველად-

მოენა თურმე ეს წივილი, წაუკრ წა- მოუკრავს ყმაწვილისთვის და გამო- უვლია. ყმაწვილი დაბრუნებულა ში- ნა, ლამაზად გატყეპილი და არც რაიმე შეგება მიუღიაო.

\* \* \* ტფილისში სხვა-და-სხვა ავად- მოყოფობა ამ ქაშად გაგრცელებული. ყმაწვილების ავად-მოყოფობაში უფრო ესრედ-წოდებული დიფტერიტი, ანუ ყელის ავად-მოყოფობა ვერაზე „ახალ ჰოლანდიაში“. ნეთლუხში სამხედ- რო საავად-მოყოფოში საოფელ და „შავი სახალი ყოფილა (ВЫШОЙ ТИФ) და ამ ქაშად ცოტა არ იოს დამ- ცხრალა.

\* \* \* ტფილისში ამ ქაშად საქაოად გრილა. ჯერ ტფილისელებს აქაური ნამდილი სიცხები არ უნახავთ. ორ დღესა და სამს დღეში ერთხელ წვიმა მოდის და აგრილებს ჰაერს, ან მთებზე თოვლი მოდის და იქილამ გრილი სიო მოჰქრის. მაგრამ ქარები ისეთი ჰქრის, რომ სული შეგვიწუხა სწორედ. საოფლად და ავარებელ გა- სული ხალხი ძალიან თურმე სწუნს, რომ აღრე დაანებეს თავი ქალაქს.

\* \* \* ნეთლუხის სამკურნალოდან ავად-მოყოფების ნარეცი წყალი ქუჩა- ში გუბდება და მთელი ტბა სდვას თურმე ამ ჰუქყიანია წყალისა. ამ გუბეში ნაგავსა ჰყრიან და საზარელი სუნის სდვას თურმე მთელს ქუჩაზედ. ქალაქის გამგეობას ყურადღება მიუ- ქცევია და ამ ჯღებში აპირობს რი- თიც კი შეიძლება მოსპოს ეს სიბინ- ძურე.

\* \* \* ტფილისის ქალაქის გამგეობის აღრინდელი წევრი არტემ თამაშოვი იმის გამო, რომ წევრს ზუბალოვს საბჭოს სხდომის დროს შეურაცხება მიაცენა, ტფილისის ოლქის სასამარ- თლოს გარდაწყვეტილებით დამწყე- დეულ იქმნა.

\* \* \* ამ ქაშად ტფილისში ფქვილი ფასობს ხუთმეტ შაურიდამ ოთხ-უხალ- თუნადმდე, ქერი ფუთი ცხრა შაუ- რია; ხილეულობა ძვირია: მაგალი- თად, კიტრი შაურად სამია, ქერამი

განვე ჩეფულებდა აქეთ ამერიკელებს, რომ ქორწილში უთუოდ „ხაქა-პური“ უნდა იყოს და ამ „ხაქა-პურს“ „ქორწინების პურს“ ეძახიან. დიდ- ძალი წერილები მოუვიდათ ახლად ჯვარ-დაწერილებს ახალ-გაზდა ქალე- ბისაგან, რომელნიც „ხაქა-პურის“ პა- წაწა ნაჭერსა სთხოვდენ სასხოვრად, მაგრამ ერთი ნამცეციც ვერავის ერ- გო: — მთელი ის პური ვახშიმე ვაა- თავეს.

მეორე ამ გვარივე „ხაქა-პური“, 150 გირვანქიანი, ნაჭრებდ დასჭრეს, ატლასის პარკებში ჩააწყეს და თავიანთ საკუთარის ხელ-მოწერილის ბართე- ბით ცოლ-ქმარმა ნათესაებებს და მე- გობრებს გაუგზავნა, რომელნიც ქორ- წილში ვერ დაესწრენ.

ვახშიმე დიდს ხანს არა ყოფილა. მეფე-პატარძალი სუფრიდამ ჩქარა წარ- მოდგენ და თავ-თავის ოთახში წა- ვიდნენ ტანისამოსის გამოსაცვლელოდ. ცოტა ხნის შემდეგ ორივენი საგზაო ტანისამოსით გამოვიდნენ და სტუმ- რებს გამოემწვიდობნენ. კლიველები ორის კვირით საქმებს თავს ანებებს და სოფელში მიდის დროს ვასტა- რებლად. კლიველებს თავისი ძვე- ლი სერთუკი ჩაეცო და დაძველებუ- ლი, გაფხეკილი ქული დაეხურა. კარ-

გირვანქა ორი შაური, ბალი ორი შაური, ტყემალი და ალუჩა შვიდი კაპეიკი, თხილი შვიდი კაპეიკი. ხო- რაგეულობაში, ყველი თათრისა ის- ყიდება ფუთი ოთხიდან ხუთსა და ექვს მანათამდე, ერბო ფუთი თერთ- მეთი მანათი, კვერცი აბაზად 26. თევზეულობაში დოში და ზურგიელი ხუთსა და ექვს შაურად გირვანქა, ხი- ზილალა ათი შაური და სამი აბაზი. ღვინო სამი აბაზი და სამაბაზ უხალ- თუნად იზოვება თუნგი.

\* \* \* 24 ივნისს, ვარანცივის ძეგლიან შეშელმა მოქალაქემ იაკობ მეღიქ-პახტა- შინიანცმა იპოვნა ოქროს სამაფური. სამა- ფური პატრონს შეუძლიან პოლიციის გამ- გეობისაგან მიიღოს, თუ საჭირო საბუთებს წარადგენს ნივთის კუთვნილებისას.

\* \* \* 26 ივნისს, პოლიციის 8 ნაწილში სიღნაღის მახრის მცხოვრებელ გიგო ვნი- კოლოფოვმა და ნიკოლოზ მახალაშვილმა მტკვარზე ტყეში წაიღეს ვასარეცხად, ორი- ვენი წყალმა ავლაბრის ნიღთან ჩაიტანა და დაარჩო. დამრჩალოა გვაში ვერ იპო- წეს.

\* \* \* 26 ივნისს, ღამის 12 საათზე მნა- ცკაროვის ხიდის ჩასავალში ვილც ავაზა- კებს მოკლავთ ხანჯლით გუფ-მაშედ-ად- შიჩალო-ოლი, 10 წლის ყმაწვილი. რო- გორც ეტყობა მოკვლის მიზეზი შურის-ძიება ყოფილა, რადგანაც არ გაუცარცვავთ. გა- მოძიება სწარმოებს. პოროტ-მომქმედთა ალ- მოსახენად ღონის-ძიება მიღებული.

\* \* \* მეტის-მეტი გამუდმებული წვი- მებია ჩვენსკენაო, გვერენ ფრონის ხეობიდან. წვიმების გამო ისე გრი- ლა, რომ თითქმის სიცივით ვიხოცე- ბითო, მაგრამ ისე ჩვენ თავს არა ესჩივით, როგორც კირნახულსაო. გრილმა ჰავამა და წვიმებმა აგვიოდა ქირნახული და გამოსავალი იმდენი აღარ ექმნება, რამდენსაც მოველო- დებოდითო.

\* \* \* თელავის მახრადამ მოუწერი- ათ: ამას წინად აქ თხილის ტოლა სეტყეა მოვიდა, და საშინელი ქარ- ტხილი ჰქოდა და თითქმის სულ გააფუტა ვენახები კისისხევისა, წინან- დალისა, ქვემო-ხოდამენისა, ბუშაბი- სა და ვანდისა. ვენახები 300 დლიუ- რია გაფუტებული და პურის ნათესო-

გა ხანია მეგობრები ურჩევენ თურმე კლიველებს ეს ქული გამოიცვალოს, მაგრამ ეს მაინც არ იზორებს, ისე შესჩევიო.

ამერიკელებს ჩეფულებდა აქეთ თურმე, როცა ახალ ჯვარ-დაწერი- ლებს აცილებენ, ბრინჯს აყრიან და ძველ ფლოსტებს ესვრიან. ფინანსთა მინისტრმა ერთი ფლოსტი თურმე თავში მოარტყა კლიველებს და ქუ- ლი გადმოუვდო. კლიველები მაშინ- ვე დასწვდა, აილო და დაიხურა, მი- თომც და აქ არაფერიო, მხოლოდ ის კი უხაყედურა მინისტრსა, რომ კისერში ბრინჯი ჩამიყარეო.

მანამ ახლად ჯვარ-დაწერილები რკინის გზის სადგურს მივიდოდნენ, გზაზე ხალხი მოსვენებას არ აძლე- ვდა. ქუჩებში ხალხი ჯგუფ-ჯგუფად ეგებებოდა და ულოცავდა, ზოგი ხელსაც ართმევდა. ერთი ვილც ქუ- ჩის ბიჭი ქუჩაზედ წინ გადუდდა და ხმა მალა დაუყვირა: ჰოლოო, გრო- ვერ, როგორა ხარ? — კლიველებმა გაუყინა თურმე და მალლობა გადუ- ხადა.

ბოლოს როგორც იყო მივიდნენ რკ-ნის გზაზე, საჩქაროდ ჩასხდნენ და გაემგზავრნენ. მხოლოდ მაშინ, როდესაც კლიველები თავის სახლს

ბა 470 დლიური. ზარალი 26,000 მანათს აღემატებოა.

\* \* \* გორის მახრადამ მოუწერიათ, რომ 4 ივნისს მოსულმა სეტყვამ სოფ. ვარიანში თითქმის მესამელი მოსავლისა სულ განადგურაო ზარა- ლი 1,000 მანათამდეოა.

\* \* \* როგორც სწერენ, ბათუმის სასა- მართლოში სეკრეტრის თანამდებობის აღმსრულებელი ე. გ. დაუტუსაღე- ბიათ ქალაქ პოლტავის გამოძიებე- ლის განკარგულებით. ამბობენ, რომ ე. რამდენიმე ბრალი ედება თავის საერო სამსახურში ყოფნის დროს ჩა- დენილიო. ე. ქალაქ პოლტავაში გა- უფზენიათ.

\* \* \* შეგდომის განწოდება: წერილ- ში „ქუთაისის თეატრის შენობაზე“. მე-4 სექტ- ში, მე-4 სტრიქონი: იმედი უნდა ვიქონიოთ წლეგანდელი ქარები ფერს ისე უცვლის, როგორც ამ წლის მოსავალს უცვალა და ააოფეს (და არა „აბოფეს“).

### ნაკვეთი

კასეთში როცა შიშინობა იყო, ერთი ჯარის კაცი უჭებდა ლეკებში მოსიარულე მხეკრავს თავის ჯარის უფროსის საბ- რისს.

— ასე გასინჯეო, ოცა თუ ოცდა ათას წლას შექმდებ მზე რა ღღეს დაზ- ნელდებ ისიც კი იფისო.

— ეს კარგო, მაგრამ თუ ესეთი გუფთ-მისანი არისის შენი უფროსი, მე რაღას მესგეწება: აბა ერთი შეგვიტყვი მამილი სად არისო, უმასუსა მხეკრავმა. ლელო

### ნარკვეთი

(ურნალ-გაზეთობიდან)

ჩვენს ვაზეთში ამას წინად და- ბეჭდილი იყო ბათუმის საბაყო მთხელეების უწყსოებაზე. თითქმის ამ ვაზრსავე უწყსოებას უჩრვის ბა- მიუხსლოვდა, თავისუფლად ამოი- სუნთქა და სთქვა თურმე: ეხლა კი მოვისვენებო. მაგრამ საწყალი პრე- ზიდენტი არც აქ მოასვენეს.

\* \* \*

როდესაც მეორე დღეს კლიველენ- დი ადგა და თავის სახლის ფანჯრი- დამ გამოიხედა, თვალ-წინ შემდეგი უცნაური სურათი წარმოაუდგა. სახ- ლის პირ-და პირ რკინის გზის სად- გურიო. აი ამ სადგურს ორმოცამდე ვაზეთის თანამშრომი შემოჰსეოდა, ტელეგრაფის სტოლს გარს შემოჰ- სხდომოდა და კლიველებს სახლს თვალს არ აშორებდა. დაინახადნენ ან გაიგონებდნენ თუ არა რასმე, მაშინვე ტელეგრაფის კაკუნს მოა- ყოლებდნენ და თავიანთ ვაზეთებს ატყობინებდნენ. ასე წარმოიდგინეთ ამ მეგაზეთების ურცხეობა, რომ იმა- საც კი ატყობინებენ ვაზეთებს, თუ კლიველები რამდენჯერ ჰკოცნის სა- ათში თავის ცოლს.

კლიველებს ჯერ ეწყინა ასეთი მოურიდებელი მხეგრობა, მაგრამ მერე სიცილითა სთქვა თურმე: «მე სადილი მაინც მიმზადდება და ეგ სა- წყლები შიმშილით თავს რაზე იხო- ცვენო!»

ტოქელი კორესპონდენტი «Московскія Вѣдомости»-ში

ბათუმის ახლო გარეუბანში, იქნებოდა კორესპონდენტი, ამ უხვს მისი...

როგორც ვსთქვი, თითქმის ამისთანავე უნდა იყოს ჩვენს გაზეთში...

ეს ამბავი (ესე იგი ბათუმის საბაჟო მონეტების უხვს მოქმედების გამო...

არ ვიცი, როგორ ესმის ბ-ნ «დამოქმის მმართველს» გაზეთის «დირსება და მნიშვნელობა»...

ყურადღების ღირსია აგრეთვე ის, როგორა სცხოვრებს კლიველენდი თავის სოფელში...

არა ჰგონებია ჩინეთის იმპერატორი ამერიკის პრეზიდენტს, მისტერ კლიველენდს...

არის. ჩვენ ამას მოვასწავებთ პასუხად საბაჟოს გამგებელს...

ჩვენს მკითხველებს ესომბებათ გამომჩინილი ამერიკელი ექიმი ტან-ნერი...

ამ ამბავის გამო გაზეთი «Charivari» ასე თანხმობს: ამაზედ უფრო წამალი, როგორც...

ბ. ილია ჭავჭავაძის საპასუხოდ \*)

გულითადად მატყვის მტკელი რომ არ ვიყო...

\*) ვის მოუხსენებია ბ-ნ აკაკისთვის, რომ რაზედაც პასუხს იძლევა...

ჩინეთის იმპერატორმა ამ ხანებში განიზრახა ხელმწიფის გვარუფლობის სასაფლაოს...

ბანკის გამო, მაგრამ ეს ორი ზემო-მოყვანილი მიზეზი მძიმეა...

მოლას იერუსალიმის ამბავს ჰკითხუდნ და ის კი სტამბოლზე ჩიოდა...

ჩვენს მატყვარა შინაშენის საპასუხოდ, მისი წერილები ოთხს ნომერში...

ოთხ ამ ბ-ნ აკაკის წერილებზე ჩვენ არა გვეთქმის...

ქალაქს გარეთ ესეთი სასტიკობა აღარ იყო. ეტყობა ჩინეთის მთავრობა...

იქნება ყველა ეს უცნაური «ცერემონიები» დიდის პატივისა და კრძალვის ნიშანი იყოს...

უთნებს: «ამ კრების წინაშე ჩვენ წარმოადგენთ საბუთებს, თუ რა მიზეზით უარსა-ჩვეთოთ მკ ბანკის წესდება»...

1) ეს ბანკი სასარგებლოდ რომ გამოდგეს, იმთ მათე არ დირს, რომ ვირველ-შეშეშეშეშეშე...

როგორც პარიზის გაზეთები გვარწმუნებენ, ძალიან კვიანურად და საკვირველის მკვერ-მეტყველობით...

ჩინეთში კვიანი, გონებია იქმევილი ხშირად შეხვედრება ქუჩაში...

ნება ყველა ფუჭი სიტყვა! აი რას ექვდატეიან ვერ სჯერო საქმისთვის...

2) აბ. გენჭოსნება! დღეს გამაჯვებული ბანკებით და მხარულაბთ...

3) აუგველ-გვარ იარაღს მოხმარებაც ექიროება! სამართლებრივ სასარგებლოდ...

აი რაბი იყო მამის წამოთქმული... ყველას ამოწერა არ შეგებოდა, მაგრამ...

გულში მაშინვე გაღიწყვიტა: «უთუ-ოლ მსწავლული გაეხდებოდა!»

«საფრანგეთში ყმაწვილი რალასა ჰხედავსო?—აგერ ქუჩაში ბუკისა და ნალარის ხმა ისმის...

თუ ჩინეთის აკადემიკოსისა და გენერლის, ჩინ-კი-ტონგის აზრი მართალია...

